თეიმურაზ ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარების

კ ო ნ ც ე ფ ც ი ა

ეკონომიკური დისციპლინის სწავლების ტრადიციები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ითვლის 90 წელზე მეტს. სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (ასეთ სახელწოდებას ატარებდა დღევანდელი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დაარსებისას) გაიხსნა 1922 წელს და სათავე დაუდო ქვეყანაში ეკონომიკური განათლების სისტემურ განვითარებას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მორიგი გამოწვევა იყო ფაკულტეტისათვის, რომელმაც მოითხოვა საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების შინაარსის კარდინალური განახლება. იდეოლოგიური ტაბუს მოხსნამ აუცილებელი გახადა ახალი დისციპლინების შემოღება და ტრადიციულების განახლება, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შეცვლა ან განახლება, სახელმძღვანელოების პრობლემის გადაჭრა, კურსდამთავრებულთა პრაქტიკული ორიენტაციის გაძლიერება. თვისებრივად განაახლა რა, საკუთარი სტრუქტურული და რაოდენობრივი საქმიანობა, ფაკულტეტი გადავიდა სწავლების სამ-დონიან სისტემაზე, გაუმჯობესდა სწავლების ტექნოლოგია, გაძლიერდა აქცენტი სტუდენტთა დამოუკიდებელ სწავლაზე, ფართოდ გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო ახალი ქართული და უცხოური სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით და ა.შ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის მოდერნიზაციის ამოცანები ჯერ კიდევ სრულად არ არის მიღწეული, რაც მოითხოვს მისი განვითრების კონცეფციის, სტრატეგიის და სამოქმედო პროგრამის შემუშავებას.

მიზანი და ამოცანები

<u>მიზანი</u>: შრომის საერთაშორისო და შიდა ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომოზადება და ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

<u>ამოცანები</u>:

<u>მოკლევადიან პერიოდში</u> - ფაკულტეტის სამართლებრივ-ნორმატიული რეგულაციების არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ფაკულტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების სრულყოფა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

<u>საშუალოვადიან პერიოდში</u> - სწავლების ხარისხის თვისებრივი გაუმჯობესება;

<u>გრძელვადიან პერიოდში</u> - მსოფლიო სასწავლო–სამეცნიერო სივრცეში კონკურენტუნარიანობის მიღწევა.

სასწავლო პროცესი

- სასწავლო გეგმების და პროგრამების ოპტიმიზაცია - ახალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემოღება და არსებულის სრულყოფა. შემოღებული სასწავლო პროგრამების ხარისხის და მიმართულებასთან შესაბამისობის კონტროლი.
- ლექცია-სემინარების ხარისხის ასამაღლებლად შესაბამისი ორგანიზაციული და მეთოდური ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით მიზანშეწონილია, როგორც ინდივიდუალური, ასევე აკადემიური პერსონალის გაერთიანებული ძალებით შესაბამისი აკადემიური მიმართულებების ფარგლებში წინასწარი დაკვეთის წესით სახელმძღვანელოების, სალექციო კურსებისა და თვალსაჩინოებების მომზადება და გამოცემა. უნდა განხორციელდეს უცხოურ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა(მათ შორის ელექტრონულად), სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა (მაგ., დისტანციური, მაგისტრანტებისათვის). უცხოელი პროფესორების მოწვევა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში.
- განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება. აკადემიური ხარისხის არმქონე პედაგოგებმა ძირითადი აქცენტი უნდა გადაიტანონ დისერტაციის მომზადებაზე და დაცვაზე. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ფართოდ უნდა დაინერგოს შემოქმედებითი შვებულებების პრაქტიკა სამეცნიერო მუშაობისა და ახალ დისციპლინებში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის მოსამზადებლად. ფართოდ უნდა დაინერგოს პროფესორთა კორპუსის კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მივლინების პრაქტიკა.
- უნდა გაძლიერდეს სწავლების ხარისხის კონტროლი, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა, დაინერგოს სასწავლო პროცესის მართვის ეფექტიანი სისტემა. ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურმა პერიოდულად უნდა გადახედოს სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალს სწავლების სამივე დონისათვის. მათ ნუსხაში სათანადო ადგილი უნდა დაიკავონ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ფართოდ აპრობირებულმა დისციპლინებმა, ასევე ეროვნული ეკონიმიკის ინტერესებიდან გამომდინარე საგნებმა. უნდა გამოირიცხოს საგნების დუბლირება და პარალელიზმი სწავლების სხვადასხვა დონეებზე. ამ მიზნით უნდა ხდებოდეს საგნების სილაბუსების რეცენზირება, კათედრებზე განხილვა და დამტკიცება. ბაკალავრიატის საფეხურზე მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს სტანდარტიზირებულ სილაბუსებს,

მაგისტრატურის საფეხურზე კი მიზანშეწონილია მოხდეს ჩარჩო სილაბუსების დამტკიცება, ხოლო კონკრეტული პროფესორები სასწავლო პროცესს წარმართავენ ჩარჩო სილაბუსთან შეთანხმებული საკუთარი სილაბუსების მიხედვით.

- უნდა გაძლიერდეს და გამყარდეს საქმიანი ურთიერთობები ეკონომიკური პროფილის სამინისტროებთან და უწყებებთან, ასევე ქვეყნის ტერიტორიული მმართველობის ერთეულებთან. მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული მათი პროფესიული შესაძლებლობანი სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში სწავლების სამივე საფეხურზე. „კარიერ-ოფისის" შექმნამ და ფუნქციონირებამ ხელი უნდა შეუწყოს საქმიანი კავშირების დამყარებას და გაფართოვებას ბიზნეს–სტრუქტურებთან, დასაქმების პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ გადაჭრას.
- უნდა შეიცვალოს მიდგომა დოქტორანტურაში მიღების მოთხოვნებისადმი, კერძოდ, მიზანშეწონილად ჩაითვალოს შესაბამისი საბაზო განათლების არსებობა, მინიმუმადე იქნას დაყვანილი დოქტორანტურაში მობილობა. ხელი უნდა შეეწყოს ახლად შექმნილ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის განვითარებას, პოსდოქტორანტების რაოდენობრივ ზრდას.

სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა

- ფაკულტეტი, კერძო უმაღლესი სასწავლებლებისაგან განსხვავებით, არა მარტო სამუშაო ძალაზე ბაზრის მოთხოვნას უნდა ითვალისწინებდეს, არამედ ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაზეც უნდა ზრუნავდეს. უნდა გაძლიერდეს ფაკულტეტის სამეცნიერო განყოფილების საქმიანობა - სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია, სამეცნიერო კვლევების თემატიკის აქტუალიზააციის მონიტორინგი და სხვ. რადიკალურად უნდა გარდაიქმნას სამეცნიერო საქმიანობის ფორმები და მეთოდები იმ კუთხითაც, რომ მისი შედეგები ფართოდ იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესში. შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ობიექტური შეფასების მიზნით ფართოდ უნდა დაინერგოს სამეცნიერო ნაშრომების გარე რეფერირება.
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხების მოსაპოვებლად თემატიკის შემუშავება უნდა გახდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნულ თემატიკაში თეორიულთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს პრაქტიკულ-გამოყენებით საკითხებს. წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული ეროვნული ეკონიმიკისა და ბიზნესის მოკლე და გრძელვადიანი ამოცანები, კონცეფციებისა და პროგრამების მიმართულებები. თემატიკის ნუსხის განახლება უნდა მოხდეს ტრანსფორმაციული პროცესების შესაბამისად. მის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად ფართოდ უნდა იქნას ჩართული სახელმწიფო სტრუქტურებისა და ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები.

- მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა სახის ფორუმების როლი და მნიშვნელობა სტუდენტური ცოდნის გაღრმავებაში. მათი ორგანიზაცია უნდა განხორციელდეს გეგმიურად, წინასწარ გაწერილი პროგრამის შესაბამისად. მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოვლენებზე სისტემატურად უნდა ჩატარდეს საჯარო ლექციები, ცნობილი მეცნიერების, სახელმწიფო მოხელეებისა და უცხოეთიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით.
- კათედრა უნდა იქცეს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესის წამყვან ერთეულად, უნდა მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია, როგორც კათედრის შიგნით (მაგ., ერთიანი სამეცნიერო ნაშრომის შესრულება), ასევე კათედრებს შორის (საფაკულტეტო სამეცნიერო კოლექტიური მონოგრაფიების გამოცემა). კათედრის წევრების კვლევის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს მის პროფილს. კათედრების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს კათედრის წევრთა რაოდენობის ოპტიმიზაცია. ფაკულტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაციის ფარგლებში კათედრებთან შესაძლებელია შეიქმნას კვლევითი ლაბორატორიები (ცენტრები), მუდმივმოქმედი სამეცნიერო პრობლემური სემინარები, სადაც ჩართული იქნებიან აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. უნდა გამდიდრდეს კათედრების საბიბლიოთეკო ფონდი. კათედრის ხელმძღვანელის დამატებითი შრომა უნდა აისახოს აკადემიურ დატვირთვაში ან ხელფასზე დანამატით.
- ფინანსური რესურსების შეზღუდულობის პირობებში მაქსიმალური ძალისხმევა უნდა წარიმართოს უცხოური და ეროვნული გრანტების მოზიდვის მიმართულებით. უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაფინანსების შერეულ მოდელს, რომელიც საგრანტო დაფინანსების პარალელურად საბაზო დაფინანსებასაც გულისხმობს. ფართოდ გამოყენებული იქნას სამეცნიერო ფონდების და კერძო პირების შესაძლებლობანი.
- ფაკულტეტის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნდა გააქტიურდეს მუშაობა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან და ბიზნეს სკოლებთან კავშირების დამყარებისა და გაღრმავების მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის მინიჭების პროგრამების განხორციელებას.
- უნდა ამაღლდეს ფაკულტეტების საბჭოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს, როლი და მნიშვნელობა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების რეგულირებასა და ხარისხის ამაღლებაში. საბჭომ უნდა გააძლიეროს მოთხოვნილება სასწავლო წლის შედეგების და მიმართულებების ხელმძღვანელების ანგარიშების განხილვის პროცესში.

- აკადემიური კონკურსების ჩატარებისას უნდა უზრუნველყოფილი იქნას ობიექტურობა, სამართლიანობა. კომისიის წევრთა შერჩევა უნდა ხდებოდეს კომპეტენტურობის და შესაბამისი პროფილის დაცვის გათვალისწინებით.
- უნდა გაძლიერდეს სადისერტაციო საბჭოს როლი და მნიშვნელობა აკადემიური ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო-კვლევითი შედეგების შეფასების საქმეში: სადისერტაციო ნაშრომების მიმართ მომთხოვნელობის გაზრდა, დისერტანტის პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა, რეცენზირების ხარისხის ამაღლება და ა.შ.
- თვისებრივად უნდა ამაღლდეს ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთობა სტუდენტებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან. ამისათვის კი აუცილებელია სტუდენტების პრობლემების დროული იდენტიფიცირება, მათი აზრის შესწავლა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის, საუნივერსიტეტო მმართველობის, სტუდენტური დასაქმების, დაფინანსების სქემის შესახებ. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად და კულტურულად გამოყენებისათვის, დახმარება აღმოუჩინოს მათ თვითშემოქმედებითი კლუბებისა და სხვა სახის გაერთიანებების ჩამოყალიბებაში, რომელთა მიზანი იქნება პიროვნების ჰარმონიული და კულტურული განვითარება.
- სამეცნიერო შედეგების დროული პუბლიკაციისათვის საჭიროა საგამომცემლო საქმიანობის შემდგომი გაფართოება. მიზანშეწონილია დღეისათვის გამომავალი ფაკულტეტის ჟურნალის სიხშირისა და ტირაჟის გაზრდა, აგრეთვე ცალკეული მიმართულებების ფარგლებში სამეცნიერო კრებულების გამოცემა. თსუ-ს გამომცემლობამ უნდა გაზარდოს ეკონომიკური პროფილით მონოგრაფიებისა და სასწავლო ლიტერატურის გამოცემა. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება ელექტრონული ფორმით, უნდა დაიწყოს სტუდენტური ელექტრონული ჟურნალის გამოცემა.
- ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიმართულებით. საჭიროა განახლებული კომპიუტერული პარკი, სასწავლო და საოფისე ინსტრუმენტარი (ანუ შესაბამისი ერგონომიკის არსებობა). აქტიური მუშაობა უნდა წარიმართოს ფაკულტეტისათვის ასიგნებებით მოზიდული შემოსავლების პროპორციულად გამოყოფის (თუნდაც 50%) მიმართულებით.

ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ ბერიძე

17.02.2014